№ 41 სახალხო გაზეთი № 41

პარასკევი, 25 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი • პირველი

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ **7 მანეთი.** ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც **5 მან. 50 კაპ.** ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

სახალხო გაზეთის კანტორა.

„სახალხო გაზეთის“

კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Вэнкская № 12, Сѳмэну Пашалишвили. **ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.**

ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და განსვენებულის ამხანაგ-პატივისმცემელთ, რომ კვირას, 27 ივნისს, საყვარელ მეუღლის

ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალების წლის თავზე კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა, ხოლო წირვის შემდეგ მიცვალებულის საფლავზე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (3—1)

ნინო გივის ასული, მღვდელი ნიკოლოზ და **მიხეილ ლუკას ძენი, ერმონია** და **მარიამ, სალომე, მარიამ** და **ალექსანდრე, ხიმშიაშვილები** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას — პირველი — საყვარელ შვილის, მეორენი — დაუვიწყარ დის, მესამენი — მულის, ხოლო მეოთხენი — მამიდის

დარია ლუკას ასულის ხიმშიაშვილისას.

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, დავითის ქუჩა, **№ 40.** გამოსვენება პარასკევს, 25 ივნისს, დილის 9 საათზე კალოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის სასაფლაოზე. (2—323—2)

ხუთშაბათს, 24 ივნისს ტფილისში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა

გრიგოლ იოსების ძე კემულარია,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **ნინო,** შვილები **ანნა, სოფიო** და **იოსები,** სიდედრი **ნატალია ბაგა ასული ნიკოლაძისა** და სიძენი **ივ. ლ. ჟვანია** და **პ. ა. გოთუა.** პანაშვიდები 12 და 7 საათზე. გამოსვენება ტფილისიდან (სოლოლაკის შესახვევი № 3), პარასკევს საღამოს 7 ნახევარ საათზე, ვოგზალში, საიდანაც წაასვენებენ ქუთაისში. გამოსვენება ქუთაისის ვოგზლიდან შაბათს დილის 9 საათზე საკუთარ სახლში ივანოვის ქუჩაზედ. დასაფლავება კვირას მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გალავანში. (1—324—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

კვირას, 27 ივნისს, 1910 წ.

კოტე მესხის მონაწილეობით წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

◀● ექიმი შტოკმანი ●▶

იბსენისა, თარგ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გოდერძი, თამარიშვილი, ბ. ნებიერიძე; ბ-ნნი გ. აბაშვილი, კ. მესხი, მეტრეველი, ნარი, ს. პეპანოვი და კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **კ. მესხი.** ადმინისტრატორი **ა. ქიაბერაშვილი.**

ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

✦ პატარა ცემში ✦

გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი — საბავშო, მეორე — დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—21)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე — ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე — ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიასამიძე — ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი — ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ა. პიპოვი — ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

დ. გ. ფიოდოროვი — ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—373)

დაიბეჭდა და 1 სექტემბრიდან დაურიგდება ხელის მომწერლებს

დუტუ მეგრელის ნაწერების მეორე წიგნი **„მოთხრობები“**

(მოთავსებულია 19 მოთხრობა).

ძველმა ხელის მომწერლებმა მანამდე უნდა აცნობონ ამ ადრესით: **Тифлисъ. Типографія „Шрома“, В. К. Болквадзе:** ა) თავისი ახალი ადრესი, თუ ადრესი შეცვლილია, ბ) წიგნების რაოდენობა და ვ) საიდან ჰქონდათ გამოწერილი წიგნები.

ვინც დანიშნულ დრომდის გამოგზავნის აგრეთვე დასახელებულ ადრესით ან პირადად მოიტანს ერთ მანეთს ძველ ხელის მოწერლებთან ერთად გაეგზავნება ორივე წიგნი: „ლექსები“ და „მოთხრობები“.

ქუთაისის მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად ბანკის წესდების მე-17 §-ისა მომავალ ივლისში ქვემოდ აღნიშნულ რიცხვებში საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლების პატრონებმა თავის დროზე არ შემოიტანეს ბანკის ხვედრი გადასახადი:

ვაჭრობა, როგორც პირველი, აგრეთვე მეორე მოხდება: იმ მამულებზე, რომლებიც მდებარეობენ ქ. ტფილისში და ტფილისის გუბერნიაში — ბანკის განყოფილებაში ქ. ტფილისს, ვერის დაღმართზე, სახლი № 7, და დანარჩენ მამულებზე ბანკის სადგომში ქ. ქუთაისში საკრებულო ტაძრის მოედანთან, რიჟანაშვილის სახლში.

ვაჭრობა დანიშნულია:

	I ვაჭრობა ივნისის	II ვაჭრობა ივლისის
ა. ქ. ტფილისში და მისივე გუბერნიაში მდებარე ადგილებისა „	5 „	„ 20
ბ. ქ. ქუთაისის მდებარე ადგილებისა „	8 „	„ 24
გ. გარეშე ქალაქებში და დაბებში მდებარე მამულებისა „ „ „	10 „	„ 26
დ. ქუთაისის გუბერნიის სოფლის მამულებისა და აგრეთვე მოკლე ვადის სესხის მამულებისა „ „	12 „	„ 28

(2—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—212)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—4)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—93)

ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—8)

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—ნ.—5

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—212)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—154)

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულონ

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—29)

ტფილისი 25 ივნისი.

რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებამ მუშაობა დაასრულა. ამიტომ გაზეთები ცდილობენ ჩვეულებრივი შეფასება მოახდინონ მისი მოქმედებისა და საქმიანობისა. რა მისცა ხალხს სათათბირომ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სათათბიროში გაბატონებულმა ოქტომბრისტთა პარტიამ? შეიტანა თუ არა რაიმე ცვლილება რუსეთის მოქალაქობრივ ცხოვრებაში, შეასუსტა თუ არა თვითნებობა და ცოტათი მაინც დაამყარა თუ არა უფლებრივი წესწყობილება? თუ ყველა ეს არ გაუკეთებია, რას უნდა მოველოდეთ ამ პარტიისაგან მომავალში? აი კითხვები, რომლებიც დაებადება ყველას, ვინც კი სათათბიროსა და მის ხელმძღვანელ პარტიის მოქმედებას გადახედავს.

იყო დრო, როდესაც ოქტომბრისტები თავიანთ თავს კონსტიტუციონალისტებადა სთვლიდნენ. განმანთავისუფლებელ მოძრაობით შეშინებული წრე მოლიბერალო თავად-აზნაურობისა და ვაჭარ-მრეწველობისა 17 ოქტომბრის მანიფესტის გარშემო შეკავშირდა და მიზნად მისი განხორციელება დაისახეს. ბევრს სიკეთესა ჰპირდებოდნენ მაშინ ქვეყანას ოქტომბრისტები. სტოლიპინის დევიზი „ჯერ დამშვიდება და მერე რეფორმებიო“ ოქტომბრისტებმაც შეითვისეს და ყურები გამოუჭედეს იმათ, ვისაც ოქტომბრისტების კონსტიტუციონალიობა არა სწამდა, ჯერ მოითმინეთ, როდესაც ქვეყანა დამშვიდდება და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, რეფორმებსაც მაშინ განვახორციელებთო.

გავიდა დრო და „დაკარგულ დოკუმენტის“ პარტიამაც ფიზიონომია შეიცვალა. ქვეყანა დამშვიდდა. დადგა დრო დიდებითი მუშაობისა, მაგრამ ოქტომბრისტთა პარტია მაინც არა ფიქრობს დანაპირებ რეფორმათა განხორციელებას. სათათბიროს მემარჯვენე ელემენტთა ზეგავლენით იგი თან და თან მემარჯვენე ხდება, მხარს უჭერს მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკას და დღითი-დღე ეხვევა და ქვეყანასაც ახვევს იმ ქსელში, რომელიც ყოვლად შემძლე ბიუროკრატიამ მოქსოვა. მთავრობა თავის პირობებს უკარნახებს და მორჩილი უმრავლესობა სათათბიროსი ხმა-ამოუღებლივ ყველა პირობებს კი, ხელს აწერს. პესიმისტსაც, რანაირიც დეპუტატი მაკლაკოვია, ყოველ-გვარი იმედი დაუკარგავს. მასაც კი აღარა სწამს ოქტომბრისტების გამობრუნება და სწორ გზაზე დაყენება.

მთავრობაც გარემოებითა სარგებლობს. მორჩილ სათათბიროს წყალობით მისთვის უფრო ადვილად შესაძლებელი გახდა თავის მიზნების განხორციელება, სტოლიპინის კაბინეტმა მშვენივრად ისარგებლა მომენტით და „ხალხის წარმომადგენელნი“ თავის რეაქციონურ გულის ზრახვათა მიზარე გახადა. ეს გარემოება სტოლიპინის უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. დღეს მთავრობის რეაქციონური მისწრაფებანი სახალხო „წარმომადგენელთა“ სიმპატიითაცაა აღჭურვილი „სახალხო წარმომადგენლობა“ მთავრობამ რაოდენადმე თავის სასარგებლოთ გამოიყენა. ეს კი ასე არ იქნებოდა, ოქტომბრისტები რომ სტოლიპინის ყურ-მოჭრილ ყმებად არ გადაქცეულიყვნენ. მართალია, ცოტად თუ ბევრად, დამაკმაყოფილებელ დემოკრატიულ რეფორმებს არც იდეალურ ოქტომბრისტებისაგან მოველით, მაგრამ ის მაინც არ იქნებოდა, რაც ეხლა; თავისი უმოქმედობით ხელს მაინც არ შეუწყობდნენ რეაქციის გაძლიერებასა და ფრთების გაშლას! მაგრამ ოქტომბრისტებმა ეს უბრალო მისიაც კი ვერ შეასრულეს. მათის დახმარებითა და დასტურით მთავრობამ ერთი-ერთმანეთზე რეაქციონური კანონ-პროექტი აქცია კანონად.

რეაქციონური თანამშრომლობა სტოლიპინისა და მის მორჩილ სათათბიროსი ფინლანდიის ავტონომიის გაუქმებით დაგვირგვინდა. დამარხეს კანონ-პროექტი პიროვნების თავისუფლების შესახებ, უყურადღებოდ დასტოვეს მრავალი საჭირბოროტო და ამასთანავე საერთო საიმპერიო კანონ-პროექტი და მთელი თავისი ძალ-ღონე „ინოროდცებთან“ ბრძოლას შეალიეს. ამაში გამოიხატა შემოქმედებითი მუშაობა ოქტომბრისტების პარტიისა.

რას უნდა მოველოდეთ იმისაგან მომავალში? ბევრს არაფერს. ოქტომბრისტების პარტია კიდეც რომ დაირღვეს, მისი შემადგენელი ელემენტები ფაქტიურად მაინც სათათბიროს ბატონებად დარჩებიან. დღეს თუ ეს ელემენტები ოქტომბრისტების სახელს ატარებენ, ხვალ შეიძლება სულ სხვა სახელი დაირქვან; მაგრამ ამით გარემოება არ შეიცვლება. ფაქტიურ ხელმძღვანელად კანონ-მდებლობისა მაინც ის დარჩება, ვინც სრულიად არ არის დაინტერესებული რუსეთის განახლებასა და მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებაში. რის იმედი უნდა გვქონდეს ამისთანა პირობებში? რას უნდა მოველოდეთ ასეთის ელემენტებისაგან შემდგარ სათათბიროსაგან? მოლოდინში მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიყოთ, თუ ოქტომბრისტების სასწაულებრივ გარდაქმნას ვაღიარებთ. მაგრამ რა ვქნათ, თუ ასეთი სასწაულები ჩვენ არა გვჯერა?.. ოქტომბრისტები მომავალშიაც ერთხელ არჩეულ გზით ივლიან, ერთხელ არჩეულ მიზნების განხორციელებას მოანდომებენ მთელ თავის ძალ-ღონეს იმ დრომდე, სანამ ისევ ცხოვრება არ დაალაპარაკებს...

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვ. რეჩ.“-ში ვინმე „დუმეცი“ ეკამათება „ტიფ. ტელ.“-ის თანამშრომელს ბ-ნ ი. პ., რომელიც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ექცეოდეს ქალაქის თვითმმართველობა სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს სამსახურში მიღების დროს, შემდეგს მოსაზრებას გამოსთქვამს. ეს საკითხი სამნაირად შეიძლება გადავწყვიტოთო, ამბობს ბ-ნი ი. პ. 1) ქალაქის თვითმმართველობაში შეიძლება სრულიად არ მივიღოთ ხოლმე განსაზღვრულ ეროვნების კანდიდატი; 2) შეიძლება განსაზღვრული პროცენტი დაწესდეს ეროვნებათა მიხედვით და 3) შეიძლება კანდიდატის არჩევის დროს ეროვნული მოსაზრება სრულიად უყურადღებოთ იქმნას დარჩენილი. ბ-ნი ი. პ.-ს პირველი ორი მოსაზრება არ მოსწონს და ამბობს, ყველას ის ემჯობინება, თუ მესამე მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ ხოლმე მოსამსახურეთა მიღების დროსაო.

ერთის სიტყვით, წინ წამოყენებულია ინტერნაციონალური პრინციპიო, — დასძენს „ნოვ. რეჩ“-ი.

ბ-ნი „დუმეცი“ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და იმ აზრს გამო-

სთქვამს, რომ ცხოვრებაში ამისთანა ინტერნაციონალურ მოქმედებას ვერ ვხედავთო.

„თვით ბ-ნი ხატისოვი,—სწერს „დუმეცი“,—ხუთის წლის წინად ამბობდა, მჭერმეტყველი არა ვარ, ვერ შემიძლიან დავაჯერო ხალხი, რომ სომხური, ქართული, თათრული საკითხები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ საერთო საკითხიო“.

მეუხედავათ ამისა, როდესაც ბ-ნი ხატისოვი ქალაქის საქმეების სათავეში მოექცა, მხოლოდ „თავისიანებისკენ“ გაიწიაო, ამბობს „ბ-ნი დუმეცი“. დასამტკიცებლად ამისა, ბ-ნი „დუმეცს“ ერთი საყურადღებო ფაქტი მოჰყავს.

ერთის წლის წინად გარდაიცვალა X (სომეხი),—სწერს „დუმეცი“,—რომელიც 5 წ. და 3 თვ. მსახურებდა, სიკვდილის შემდეგ ობლად დარჩა სამი პატარა ბავშვი; და აი, ქალაქის გამგეობამ მოითხოვა საბჭოსაგან, რომ გარდაცვალებულის ბავშვებისთვის ერთდროულად 900 მ. მიეცათ, შემდეგისთვის კი 40 მანეთი დაენიშნათ თვეში. ვინ რას იტყვის, მშვენიერი საქმეა! მაგრამ ყველას რაღაც უსიამოვნო გრძნობა გაეღვიძება, როდესაც მეორე ფაქტსაც გაიცნობს, ერთის წლით ადრე გარდაიცვალა Z (ქართველი), რომელსაც ოთხი წვრილი შვილი დარჩა და ქალაქსაც ათი წელიწადი ემსახურა. მერე რა? გამგეობამ ამ შემთხვევაში მხოლოდ 500 მ. ერთდროული დახმარება ითხოვა. მდგომარეობა კი ერთნაირი არ იყო. Z უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და უფრო პასუხსაგები თანამდებობაც ეჭირა.

მეტად დამახასიათებელია ეს ფაქტი, თუ, რასაკვირველია, იგი მართალი გამოდგა, იმ პირთა, რომელთაც ენაზე ერთავად ინტერნაციონალიზმი აკერიათ და ცხოვრებაში კი უკიდურესი შოვინისტები არიან.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: რუსეთ-იაპონიის ახალი ხელშეკრულება უდიდესი მოვლენაა მსოფლიო პოლიტიკაში. რუსეთმა და იაპონიამ გადასწყვიტეს ზომები მიიღონ შორეულ აღმოსავლეთში საქმეების მოსაწესრიგებლად; ეს ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყვეს, ვისაც კი აქ მშვიდობიანობის დამყარება სურს. ამ ხელშეკრულობით მოისპობა ყოველნაირი არეულობის მიზეზი, რომელიც საშიშოა აღმოსავლეთის ქვეყნებისთვისაო.

სოფია. გააკრეს ყველა პარტიების მოწოდებები, რომელშიაც სთხოვენ ბოიკოტის მომხრეთ თავი შეიკავონ დელეგატების წინააღმდეგ დემონსტრაციისაგან.

ნიუ-იორკი. გუშინ თეთრებისა და ზანგების შეტაკების დროს მოკლულ იქნა 14, მძიმედ დაშავდა 100 მეტი კაცი.

ბერლინი. „ფოსიშე ცეიტუნგს“ ათინიდან ატყობინებენ: კანეიაში მოვიდა მფარველ-სახელმწიფოთა ოთხი სამხედრო გემი. მცხოვრებლები ამამი მუქარის ასრულების პირველ ნაბიჯს ხედავენ ამ სახელმწიფოების მხრივ. განაახლებს თუ არა ნაციონალური კრება მოქმედებას არავინ იცის.

პარიზი. ტიულერში ვალდეკ რუსოს ძეგლის გახსნაზე დაესწრო პრეზიდენტი ფალიერი, ყოფილი პრეზიდენტი ლუბე და ყველა მინისტრები.

კლივლენდი. უკანასკნელ ცნობებით რკინის გზაზე კატასტროფის დროს მომკვდარა 19, ხოლო სასიკვდილოდ დაშავებულა 7 კაცი.

ნიუ-იორკი. ჰიდაობის დროს ზანგ ჯონსონის დამარცხების გამო ზანგებსა და თეთრებს ყველგან შეტაკება მოუვიდათ, ზანგების მხრივ დაჭრილია მრავალი, მოკლულია ერთი ზანგის ერთ სასტუმროს ცეცხლი წაუკიდეს. შეტაკება სხვათაშორის ორლეანში, პიტსბურგში, ფილადელფიაში, სენ-ლუიში და სხვ. მოხდა.

სოფია. სლავიანთა დეპეშთა სააგენტოს საკითხი გადაეცა კომისიას, რომელიც კონგრესს წარუდგენს ანგარიშს. ბობჩევმა წინადადება მისცა, სლავიანთა შემდეგი 1911 წ. კონგრესი ბელგრადში გაიმართოს. კონგრესის დახურვის დროს ბობჩევმა განაცხადა, სლავიანთა ჟურნალისტების შრომა დიდი ნაბიჯია სლავიანთა გაერთიანების საქმეშიო.

სლავიანთა ექიმების კონგრესზე წაიკითხეს მოხსენებათა მთელი რიგი, სხვათა შორის პროფესორ ბეხტერიოვის მოხსენება ექიმთა კავშირების გავრცელების, სლავიანთა გაერთიანებისთვის კონგრესების მნიშვნელობის და სლავიანურ მეცნიერების პროგრესის შესახებ. ამის შემდეგ კონგრესი დაიხურა.

ოსმალეთი

სალონიკი. სულთანის ბრძანებით დიბრის სანჯაყში სამხედრო წესები გამოაცხადეს. დიბრში სამხედრო საველე სასამართლო დააწესეს. ალბანელთა სოფლების მცხოვრებნი მთებში გარბიან. მალესიაში მდინარე დრინაზე მეამბოხეებმა ხიდები დაანგრიეს, რათა ამით ხელი შეუშალონ ჯარის მალესიაში მისვლას.

სტამბოლი. ბოიკოტის მომწყობმა კომიტეტმა ცირკულიარით განაცხადა, რომ ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტს გააგრძელებენ. 22 ივნისს კომისიას, რომელსაც ოსმალეთ-ბოლგარეთის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის შემუშავება აქვს ჩაბარებული, პირველი სხდომა ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გამოსცა, რომლითაც მთელ ოსმალეთის იმპერიაში უქმდება საშინაო პასპორტები.

სპარსეთი

თეირანი. მეჯლისი და პრესა ძლიერ უკმაყოფილონი არიან მინისტრებით; არა მოქმედობენ, პროგრამას არ ასრულებენ და მეჯლისსაც ყურადღებას არ აქცევენო. მოსალოდნელია შეკითხვათა მთელი რიგი. ტაგი-ზადე ამ დღეებში ლონდონში წავა.

რუსეთი

ვარშავა. სენატორმა ნეიდგარდტმა მექრთამეობისათვის სამართალში მისცა ვარშავის კომანდის ბრანდ-მაიორი პოლკოვნიკი სუდრავსკი.

უფა. სოფელ კოჩერბაევოში თათრების დღესასწაულის დროს ცეცხლმა 64 სახლ-კარი იმსხვერპლა.

სადგური ბერდიაუში. 20 ვერსის მანძილზე გადაიარა ქარიშხალმა და სეტყვამ. სახლებს ბანები მოგლიჯა, ხეები ფესვებიანად დაგლიჯა. ბირსკის მაზრის 24 სოფელში სეტყვამ 5,079 დესეტინა ნათესი გაანადგურა, ზარალი 250,000 მანეთია. სტერლიტამკის მაზრაში სეტყვამ გაათხრა 1500 დესეტინა, ზარალი 75,000 მანეთს უდრის.

პეტერბურგი. რადგან ნარვის სადარაჯოს იქით ხშირად ჩნდება ცეცხლი, ადმინისტრაციამ ზომები მიიღო მიზეზის გამოსარკვევად. აღმოჩნდა, რომ ცეცხლს ძალაზე უკიდებენ სახლებს. მაძებარ პოლიციის მეთაურობით გამოძიება სწარმოებს. ეჭვით რამდენიმე კაცი უკვე შეიპყრეს.

ხერსონი. სოფელ ოსკოროვკაში მიწის თხრის დროს იპოვეს სკიფების ლითონის ქვაბი. ქვაბი ბურთის მგზავსია. სიმაღლე 1 არშინს და ხუთ ვერშოკს უდრის, სიმრგვლე 4 არშინს, კედლის სისქე ნახევარ ვერშოკს, ხოლო წონით 7 ფუთი და 12 გირვანქაა. ადგილობრივ არქეოლოგები ფიქრობენ, რომ იგი პირველ საუკუნის ხანას ეკუთვნის. ქვაბი ქალაქის მუზეუმს გადაეცა.

პეტერბურგი. ბელგიის მთავრობამ, რუსეთში მომქმედ საემიგრაციო აგენტების ბოროტმოქმედების გამო; გადასწყვიტა აღარ გაუშვას ამერიკისკენ მიმავალი ემიგრანტები, ვისაც ოროთქლმავალის ბილეთი არ ექმნება.

გროზნი. სოფელ გალაშჩოის ახლოს მთებში ჩეჩნებსა და ჯარს შეტაკება მოუვიდათ. ჯარმა მათ 69 სული მოპარული საქონელი წაართვა და რამდენიმე კაცი დაატყვევა. დაჭრილია კორნეტი სმირნოვი, პორუჩიკი კონსტანტინოვი, ხოლო მოკლულია ერთი ჯარის—კაცი. ჩეჩნების მხრივ არიან მოკლულ-დაჭრილნი.

კიშინევი. დაიხურა წვრილ კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენლების პირველი კრება. კრებაზე საჭიროდ სცნეს გაიხსნას სასოფლო კასები, სასოფლო სამეურნეო საწყობები, გამოიცეს პოპულიარული წიგნაკები და მოწვეულ იქმნას მევენახეობის გასაუმჯობესებლად სპეციალისტთა კრება.

ჩერნიგოვი. სოფელ ოკრომეევიჩაში დაიწვა ფოსტის კანყოფილება, სასოფლო სამართველო და 30 გლეხის სახლ-კარი.

პერმი. სამაზრო კრებამ ურალის პოლიტეხნიკუმისათვის 200,000 მანეთი გადასდო იმ პირობით, თუ იგი პერმში გაიხსნება. ნიკოლაევსკომარსკში სეტყვამ 1066 დესეტინა გააფუჭა.

ხოლერა

გროზნი. ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა 2 კაცი.

კერჩ-ენიკალე. ხოლერით ავად გახდა 5, ავად არის 33 კაცი; საგრადონაჩალნიკოში ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 62, გარდაიცვალა 27 კაცი.

სტავროპოლი. ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი.

ცარიცინი. ხოლერით ავად გახდა 21, გარდაიცვალა 10, მორჩა 2 კაცი.

ფინლანდიის კანონ-პროექტი

სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ მიღებული.

ბ. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის.

(დასასრული *)

1. სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობაში შედის ხუთი წევრი ფინლანდიის სამთავროს მცხოვრებთაგან. ამ რიცხვიდან ოთხი წევრი ფინლანდიელ მოქალაქეთაგან და ერთი წევრი სხვა რუს ქვეშევრდომთაგან.

2. სახელმწიფო სათათბიროს წევრად ფინლანდიელ მოქალაქეთაგან სეიმი ირჩევს იმ პირთაგან, ვისაც უფლება აქვს სეიმის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და ვინც აკმაყოფილებს კანონის მე 3 და 4 მუხლთა მოთხოვნილებას. დაწვრილებით წესს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნებზე ადგენს სეიმი.

3. ფინლანდიის სამთავროში სახელმწიფო სათათბიროს წევრებად არ შეიძლება იქნას ამორჩეული, არ შეუძლიანთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ როგორც ამომრჩევლებმა და ამრჩევლებმა, გარდა იმ პირთა, რომელნიც ნაჩვენებია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულების მე 9—11 მუხლებში (გამოც. 1907 წ.): 1) სამართალში მიცემულნი იმ დანაშაულობათა ჩადენისათვის, რისთვისაც ადგილობრივ სისხლის სამართლის დებულების ძალით, მიესაჯა გამასწორებელ სახლში გაგზავნა ან დამნაშავეს მოქალაქობრივი ნდობა ეხდება, ან ღირსი არ იქნება სამთავროს რომელიმე სამსახურში ყოფნისა, როდესაც სასამართლოს ისინი არ გაუმართლებია, თუნდაც გასამართლების შემდეგ ისინი სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდნენ ვადის გასვლისა გამო, უმაღლეს მანიფესტით ან სხვა უმაღლეს წყალობით; 2) სამსახურიდან გადაყენებულნი ფინლიანდიის სასამართლოების განაჩენის ძალით—სამი წლის განმავლობაში, დღიდან სამსახურიდან გადაყენებისა, თუნდაც ვადის გასვლის გამო ისინი კიდეც განთავისუფლებულ იქნენ უმაღლესის მანიფესტით ან სხვა უმაღლეს ბრძანებით; 3) რომელთაც ბრალი ედებათ ამ მუხლის პირველ განაყოფილებაში ნაჩვენებ დანაშაულობის ჩადენისათვის, ან იმ დანაშაულობის ჩადენა, რასაც სამსახურიდან გადაყენება მოსდევს.

4. სახელმწიფო საბჭოს წევრებად არ შეიძლება ამორჩეულ იქნან ისინი, ვინც რუსული ენა არ იცის.

5. სახელმწიფო სათათბიროს წევრის რუსეთის ქვეშევრდომ არა ფინლანდიის მოქალაქეთაგან ასარჩევად ვიბორგში, გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნულ პირის თავმჯდომარეობით არსდება საარჩევნო კრება საოლქო საარჩევნო ყრილობებზე ამორჩეულ ორმოც ამომრჩეველთაგან. საჭირო ბინა მიეცემა საოლქო კრებებისათვის ფინლანდიის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით.

6. საოლქო საარჩევნო ყრილობათა რიცხვი, განაწილებათა ამ ყრილობათა ფინლანდიაში, განაწილება ამომრჩეველთა ყრილობა შორის, აგრეთვე დრო და ადგილი მათი მოწვევისა ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის საქმეა. ყრილობათა თავმჯდომარეებს გენერალ-გუბერნატორი ამრჩეველთაგან ირჩევს. ყრილობათათვის საჭირო ბინის შოვნა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ხდება.

7. ფინლანდიის სამთავროში შეიძლება ამორჩეულ იქნან სახელმწიფო სათათბიროს წევრებად რუსეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც ფინლანდიის მოქალაქეებად არ ირიცხებიან, შეუძლიანთ იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლებად და ამრჩევლებად, თუ ისინი აკმაყოფილებენ მესამე მუხლში ნაჩვენებ მოთხოვნილებათ: 1) ის პირნი, ვინც არა ნაკლებ ერთი წლისა საკუთრების სახით ანუ იჯარით, ჰფლობდა უძრავ ქონებას ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება 2) ქრისტიან სარწმუნოების მღვდლები და მღვდელ-მსახურნი. 3) ვისაც არა ნაკლებ ერთი წლისა დაქირავებული ჰქონდა ცალკე ბინად 4) და ისინი, ვინც არა ნაკლებ ერთი წლისა სცხოვრობდენ ფინლანდიაში, მსახურობდენ სახელმწიფო საზოგადო ან რკინის გზის

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ 40.

საქართველო და რუსეთი *)

(ისტორიული მიმოხილვა რუს-ქართველთა დამოკიდებულებისა XV—XVIII-ს.)

I.

პირველი დესპანები და თარღუს შამხალი.

შემდეგი *)

ამ დროს მოვიდნენ რუსეთის კარად საქართველოს ელჩებიც, სავსებით დაუსურათეს კახეთის გაჭირვებაში ჩავარდნა შამხლისაგან და მოსთხოვეს რუსეთის მთავრობას მისი აღვირ-წახსნილი თარეშობის ალაგმაც. ამის შემდეგ რუსეთმაც აღარ დააყოვნა და ფიცხლავ ბრძანება გასცა შამხლის წინააღმდეგ გალაშქრებაზედ. რუსეთს უნდოდა ერთსა და იმავე დროს დასცემოდნენ ქართველები და რუსები და ერთხელ და სამუდამოდ მოეგრეხინებინათ კისერი შამხლისათვის. ქართველებმა ამაზედ თანხმობა გამოაცხადეს. მეფის ბრძანებით ჯარების მთავარ-სარდლობა ჩაჰბარდა გრიგოლ ზასეკინს და პეტრე შახოვსკის. ბრძანების გაცემისათანავე 1591 წელს, 24 აპრილს უკანვე გამობრუნდნენ კახეთის ელჩები და თან გამოჰყვნენ რუსეთის დესპანებიც პლეშჩეევი და კუდრინი. ამ უკანასკნელთ ნაბძანევი ჰქონდათ გზაზედ არც ეჩვენებინათ და არც ეთქვათ რუსეთის ჯარის რაოდენობა. თუ მაინცა და მაინც დაიჟინებდნენ ქართველთა ელჩები ეთქვათ, რომ 5000 არ აღემატება რუსეთის ჯარის რაოდენობა, რომელსაც უნდა მიემატოს 10,000 ჩერქეზების ჯარის კაცი. გარდა ამისა რუსეთის ელჩებს, ქართველები ჩერქეზეთში უნდა გამოეტარებინათ და ენახვებინათ ჩერქეზთა ლაშქრობა. ყველა ამას რუსები, ალბათ იმიტომ ჩადიოდნენ, რომ ეჩვენებინათ ქართველებისათვის საჭიროება კახელების მხრივაც დახმარებისა, რათა მარტო რუსეთის ძალას არ დანდობოდნენ.

ვიდრე ელჩები კახეთში იყვნენ და მოლაპარაკება ჰქონდათ ალექსანდრესთან რუსებთან ერთად შამხალზედ გასალაშქრებლად, გრიგოლ ზასეკინი და შახოვსკოი შეესივნენ შამხლის სამფლობელოს, დაამარცხეს მისი ჯარი, თვით ისიც დასჭრეს ბრძოლაში და ცოტას გასწყდა კინაღამ ტყვედაც არ ჩაიგდეს ხელში. რუსებმა მრავალი სოფლები მოაოხრეს და მოსწვეს, აიღეს ქალაქი ანდრეევსკიც 25) და მიწასთან გაასწორეს, მრავალი ჯარი გაუწყვიტეს შამხალს, ბევრი ტყვეთ წამოიყვანეს და დიდის ნადავლით გამობრუნდნენ.

ამ რიგად ვიდრე ქართველებს თათბირი ჰქონდათ ჯარის გასაგზავნად, რუსებმა უკვე მტერი აადინეს შამხალს. რუსებმა საუბედუროდ ვერ ისარგებლეს ამ გამარჯვებით, არ შეამსხვრიეს და შემუსრეს შამხლის მთავარი ბუნაგი თარღუ, რასაც ასე დაჟინებით თხოულობდა მეფე ალექსანდრე. შეიძლება ეს ასე ადვილი არ იყო, როგორც მეფე ალექსანდრეს ეგონა და საჭირო იყო უფროს დიდის ჯარით გალაშქრება, ან იქნება რუსებს უნდოდათ შამხლის მხოლოდ შეშინება, რომ ერთის მხრით კახეთის აკლებაზედ ხელი აეღებინებინათ და მეორეს მხრივ იძულებული გახადნათ ქვეშევრდომობა ეთხოვნა რუსეთისათვის.

მაგრამ შამხალი არც ისეთი სუსტი მოწინააღმდეგე იყო, რომ ამ დამარცხებით ფარ-ხმალი დაეყარნა და მორჩილება გამოეცხადებინა რუსეთისათვის. ოსმალეთი მას ზურგს უმაგრებდა და თავგასული შამხალიც რა შვილი იქნებოდა, რომ ამ დამარცხებით თავი მოეხარნა რუსეთისათვის. გინდაც ეს არა, შამხალი მაშინ ძლიერი იყო და ამ დამარცხებას არაფრად ჩააგდებდა. აკი ესეც მოხდა, შამხალმა არამც თუ მორჩილება არ განუცხადა რუსეთს, პირიქით სამეფოს გამგეობას და ჯარის კარგად შეიარაღებას შეუდგა, რომ საკვლავისოთ რუსეთისათვის ჯეროვანი პასუხი მიეცა. მეფე ალექსანდრე კარგადა ჰხედავდა ამას და ამიტომ რუსეთში გაგზავნილს ელჩებს თავადს არამსა და ბერის კირილე ქსანთოპულოს პირით ულრმესს მადლობას უცხადებდა რა შამხლის დამარცხებისათვის, თან დასძენდა, რუსეთის მხედრობამ ვერ შეასრულა მთელი თავისი მისიაო. საჭირო არის თვით შამხლის ბუნაგის თარღუს აღება, შიგ რუსეთის მხედრობის დამკვიდრება, შამხლის სრულიად გაძევება და მის მაგიერ რუსეთის მომხრისა და მორჩილის ჩემი სიმამრის, იარიმ-შამხლის გამეფებაო. ამითი რუსეთი თავზარს დასცემს მეზობელ ერებსაო, მისი შიში და რიდი ექნებათ და კახეთის აწიოკება და ქრისტიანეთა ტანჯვასაც ბოლო მოეღებაო. 26)

ბორის გოდუნოვმა, რომლის ხელშიაც იყო მაშინ მთელი რუსეთის მმართველობა, განკარგულება მოახდინა საჩქაროდ ახალის ლაშქრის გაგზავნაზედ. აშკარაა რუსეთიც სავსებით კმაყოფილი არა ყოფილა პირველის ლაშქრობისა, თორემ არც ისე თავს შეიწუხებდნენ და საჩქაროდ გაგზავნიდნენ ლაშქარს, მარტო მეფე ალექსანდრეს თხოვნით ეხლა რუსეთი დიდძალს ლაშქარსა გზავნიდა, რომელიც 15,000 რჩეული მხედრისაგან შესდგებოდა. სარდლობა ჩააბარეს ცნობილს ანდრია ივანოვიჩ ხვოროსტინინს და დაავალეს თვით ქალაქის თარღუს აღება, რუსეთის მეციხოვნე ჯარის შიგ ჩაყენება, კუმუხების დამორჩილება და კახეთისაკენ მიმავალი გზის გახსნა. მეფე ალექსანდრესაც თავისს მხრივ უნდა მიეშველებინა ჯარები თავისის შვილის გიორგისა და იარიმ შამხლის (ალექსანდრეს სიმამრის) წინამძღოლობით, შეერთებოდნენ რუსეთის მხედრობას და საერთო ძალით იერიში მიეტანათ თარღუზედ.

რუსეთის მხედრობამ იმავ წელს გაილაშქრა შამხალზედ, სძლია მას, წაართვა სატახტო ქალაქი თარღუ, გაამაგრა იგი და შიგ რუსეთის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა და მისი განმგებლობა ვლ. დოლგორუკის მიანდო. ლტოლვილი შამხალი არ შედრკა, საჩქაროდ ყაზი-ყუმუხში გავარდა, შემოიკრიბა გაფანტული ჯარები და იმავ დროს ჩერქეზებსა და კუმიკებს კაცები დაუგზავნა და შველა სთხოვა. მოკლე ხანში შამხალმა დიდძალი მხედრობა შემოიკრიბა, ჩერქეზებმა და კუმიკებმაც არ დაუგვიანეს ჯარების მიშველება და საერთო ძალით თარღუსაკენ გაილაშქრეს. ცუდს დღეში ჩავარდა რუსეთის მხედრობა, შამხალი რკინის სალტასავით შემოერტყა ირგვლივ და იერიში-იერიშზედ მიჰქონდა. უბედურ მდგომარეობაში იყო რუსეთის მხედრობა, არსაით გასავალი არა ჰქონდა, ურიცხვ მტერთა შორის გამომწყვდეულს, ან უნდა ექლია მტრისათვის ან არა და გმირულად თავი შეეკლა. რუსეთის მხედრობაც თავგამოდებით შეებრძოლა, მაგრამ ურიცხვს მტერთან ვერაფერს გახდა, 3000 ყაზახი ამოწყდა ამ ბრძოლაში და მათთან ერთად სარდლები ივანე იზმაილოვი, ივ. ფედოროვი და მრავალნი წარჩინებულნი თავად-აზნაურნი. გადარჩა მხოლოდ მცირე მხედრობა, რომელმაც გაქცევა მოასწრო და სამწუხარო ამბავი მიუტანა რუსეთის მთავრობას. 27)

რუსეთის მთავრობას დიდად არ ესიამოვნა ეს დამარცხება, ბორის გოდუნოვი, რომელსაც შორეული ავანტიურა უფრო სახელის მოსახვეჭად უნდოდა, ცუდს გუნებაზედ გახდა და მთელი ბრალი ამ დამარცხებაში ქართველებს მიაწერეს. კახეთის მეფეს, როგორც ვიცით, უნდა გაეგზავნა დასახმარებლად თავისი შვილი გიორგი და სიმამრი იარიმ-შამხალი, მაგრამ ალექსანდრემ ვერც ერთი ვერ მიაშველა, რადგანაც ბევრიც რომ მოენდომნა მისი ასრულება, შეუძლებელი იყო. კახეთიდან პირდაპირ ყოისუსაკენ (პირიქით ალაზნისაკენ) გადაყვანა დიდის ჯარისა შეუძლებელი იყო, კავკასიის მთა-გრეხილის გზების სრულის უვარგისობისა გამო და გინდაც გადასულიყო მცირე მხედრობა, ყაზი-ყუმუხში გამაგრებული შამხლის მხედრობა ქართველთ ლაშქარს რას გაუშვებდა თარღუსაკენ რუსებთან შესაერთებლად. დარიალის ხეობით წასვლა კი ყოვლად შეუძლებელი იყო, ამოდენა გზის გავლა მაშინდელს დროში, როცა ათასი გაჭირვება და ურიცხვი მტრები გზებზედ ელობებოდნენ ალექსანდრეს, შესაძლებელი იყო ჯარი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილიყო და ტყუილუბრალოდ დაღუპულიყო. ყველა ამას, რომ თავი დავანებოთ, ასე დიდის ხნით ქვეყანას მოშორება ჯარისა შეუძლებელი იყო, იმ დროს, როცა კარზე ორ-ორი მტერი იყო მიმდგარი—ოსმალეთი და სპარსეთი, რომელთაგანაც პირველი მხარს უჭერდა შამხალსა—დიდს განსაცდელში ჩააგდებდა ქვეყანას. ეს ადვილი წარმოსადგენი იყო ალექსანდრესათვის, მაგრამ რუსეთის მთავრობა, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოზედ, არა კმაყოფილდებოდა ამ ახსნით და გაიძახოდა: „არა გრცხვენიანთ ქართველებს, გზის უქონლობას საბუთად ვერ გამოიყენებთ, თუ კი შამხლის კაცები გადმოდიან თქვენს ქვეყანაში და გზასა ჰპოულობენ, თქვენ როგორ ვერ იპოვნითო. ჯარი თქვენის თხოვნისა და მუდარების გამო გავგზავნევით შამხლის წინააღმდეგ, თქვენ კი აღარ მოგვეშველეთო“. 28) ქართველები უპასუხებდნენ, თუ ჩვენ შეგვძლებოდა შამხლის მოგერება, მაშინ ხომ რუსეთსაც აღარა ვსთხოვდით დახმარებასაო. ჩვენ შამხალზედ ნაკლები მამაცი ჯარი არა გვყავსო, მაგრამ გზები გადაუვალი, დიდი ჯარის გადაყვანა შეუძლებელია და ვერსაიდგან ვერ უდგებით შამხალსაო.

ადვილი წარმოსადგენია ამ გამარჯვების შემდეგ რა დღეს დააყრიდნენ ლეკები საბრალო კახეთს. თუ დღემდის ლეკთა ურდოები ეკლესიებსა და მონასტრებს ხელს არ ახლებდნენ, ეხლა ხელი გაუ-ვეს

---

*) იხ, „სახალ. გაზეთი“ N 38

25) იხ. Бѣлокуровъ, сношенія Россіи съ Кавказомъ გვ. 253.

26) Плоэнъ. Историческій обзоръ дипломатическихъ сношеній между Рос. госуд. и груз. царями.

27) იხ. Иванъ Панко. Терскіе казаки გვ. 35—37.

28) იხ. Бѣлокуровъ, Сношенія Россіи съ Кавказомъ.

სამსახურში, მსახურობს და იღებს განსაზღვრულ ჯამაგირს ან პენსიას.

8. სოლქო ყრილობებში მონაწილეობის მიმღებთა სიებს ადგენს ფინლანდიის გენერალ გუბერნატორის კანცელარია (მუხ. 7), თანადახმარებით საგუბერნიო სამმართველოთა, პოლიციის პირთა და საზოგადო სამართველოთა. ხსენებული სიები და იქ შეტანილი ცვლილებანი ცხადდება ფინლანდიის ოფიციალურ დროგამოშვებით გამოცემებში რუსულ, ფინურ და შვედურ ენებზე, და ერთ-ერთ პეტერბურგის დროგამოშვებით გამოცემაში. ამასთან ეს სიები ცხადდება იმ წესით, რომელიც უფრო მეტს საშუალებას იძლევა სიების საყოველთაო ცნობაში მოყვანას.

9. სოლქო ყრილობათა არჩევნების კანონიერების შესამოწმებლად (მუხ. 6) და ამ არჩევნების განცხადებათა და საჩივართა განსახილველად ჰელსინგფორსში არსდება საგანგებო საარჩევნო საქმეთა კომისია, რომლის თავჯდომარე ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე, წევრებად—გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის დირექტორი, ერთი ამ კანცელარიის მოხელე, გენერალ გუბერნატორის დანიშვნით და ორი პირი, უძრავ ქონების მფლობელი, გენერალ-გუბერნატორის მიერ ამორჩეველთაგან მოწვეული.

10. სოლქო საარჩევნო ყრილობათა და ვიბორგის საარჩევნო კრებაზე ჩადენილი ბოროტ მოქმედებანი პასუხის მგებლობაში უნდა მიეცეს თანახმად სათათბიროს არჩევნების საზოგადო დებულებათა მე-20 მუხლისა (გამოც. 1907 წ.) ამ ბოროტმოქმედებათა საქმეები უნდა განხილულ იქნან პეტერბურგის სასამართლო პალატაში.

11. ამომრჩეველთ ხაზინიდან მიეცემათ გზის ხარჯი ვიბორგში წასასვლელად, თუ ამაზე შუამდგომლობას აღძრავენ. თორმეტი პენი ყოველ კილომეტრზე (ვერს ნახევარი) სოლქო ყრილობის ადგილიდან ვიბორგამდე და უკან.

12 ხარჯები სახელმწიფო სათათბიროს არა ფინლანდიელ მოქალაქეთა რუს ქვეშევრდომთაგან წევრის არჩევნებისათვის უნდა იკისროს სახელმწიფო ხაზინამ, ფინლანდიის ხაზინამ კი თანაბარი ხარჯი უნდა უზღოს.

13. სეიმისა და ვიბორგის საარჩევნო კრების არჩევანთა წარმოება (მუხ. 2 და 5), აგრეთვე საჩივარი არჩევნების უკანონობაზე, ტალმანისა და საარჩევნო კრების თავმჯდომარის განმარტება და პასუხი ამ საჩივარზე ერთი თვის განმავლობაში უნდა წარდგენოს რუსულ ენაზე ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს წევრებად არჩეულ პირთა სიას უდგენს უმართებულესს სენატს საყოველთაო ცნობაში მოსაყვანად, ხოლო არჩევნების წარმოების საქმე, საჩივარი და განმარტებანი იგზავნება სახელმწიფო სათათბიროში.

14. ფინლანდიის სამთავროში არჩევნების კანონიერ წარმოების თვალყურის დევნება ევალება ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს.

15. ამა მეორე განყოფილების საზოგადო დებულებათა დაწვრილებით წესების განსამარტებლად ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი გამოსცემს ინსტრუქციას, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას მინისტრთა საბჭოსაგან და გამოქვეყნებული უმართებულესს სენატის მიერ.

ამ ინსტრუქციის გამოქვეყნება ფინლანდიაში სწარმოებს ადგილობრივ წესით, ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით და ზედამხედველობით.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ხოლერის მოლოდინში.** ხოლერა მოახლოვდა და ქალაქის მამებიც შეუდგნენ ქალაქის გასუფთავებას. სასანიტარო კომისიები ყოველ დღე დაიარებიან ქალაქის სხვა და სხვა უბნებში და მცხოვრებთ შესაფერ დარიგებას აძლევენ. 22 ივნისს სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა სუფ-კარაპეტის ხევი, რომელიც ერთობ ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კომისიამ მოიწვია მუშები და ხევი კარგად გასუფთავებინა. გუშინ, 24 ივნისს ამავე კომისიამ დაათვალიერა მაღათოვის კუნძული და განკარგულება მოახდინა მის გასუფთავების შესახებ. ამ კომისიამ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ დათვალიერების დროს დიდძალი უვარგისი ხილი და სანოვაგე მოსპო. სასანიტარო კომისიამ აგრეთვე დაათვალიერა 19, 21 და 23 მაისს მეხუთე უბანში ყველა სავაჭრო დაწესებულებანი. ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა შადინოვისა, ხლათოვისა და ხეროდანოვის ქარვასლები. უკანასკნელათ ერთის კვირის ვადა მიეცათ ქარვასლების გასუფთავებლად. სასანიტარო კომისიები აგრეთვე შეუდგნენ მტკვრის ორთავე ნაპირების გასუფთავებას, სადაც დიდძალი ნაგავი ჰყრია. იკვლევენ აგრეთვე ქალაქის სასმელ წყალს და სხვ.

◆ **ტერორისტის სიკვდილი.** როგორც ვწერდით, პოლიციამ ამ დღეებში შეიპყრო ტერორისტთა ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთი ბელოუთაგანი აკოფ ღარიბოვი 28 წლისა, მეტ სახელად „შაბო“ ძიძებარ პოლიციის სამმართველოში იყო დამწყვდეული. ის დათხოვნია გარედ გამოსასვლელად და როგორცკი გამოსულა ბალკონზე, მაშინვე 4 საჟენის სიმაღლიდან ძირს გადამხტარა გასაქცევად. პოლიციელს მოუსწრევია ამ დროს მისთვის თოფის კონდახის ჩარტყმა. იგი უგრძნობლად დაეცა ძირს და საღამოს 7 საათზე მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ **ხოლერის ნიშნები.** 23 ივნისს საეჭვო ავადმყოფობით უეცრად გახდა კავკასიის მეორე მსროლელ ბატალიონის (არსენალის გორაზე) ჯარის კაცი ვოლიუხა, რომელიც სამხედრო საავადმყოფოში გაიგზავნა. შენობას, სადაც ავადმყოფი იყო, აგრეთვე ნივთებს დეზინფექცია უყვეს.

◆ **ამირაზოვის სიკვდილი.** როგორც ვწერდით, სამის დღის წინად უცებ გარდაიცვალა მეპურე ამირაზოვი. ექიმების შემოწმებით, ის ხოლერით არ მომკვდარა. ეჭვი აქვთ, რომ ის მოწამლული უნდა ყოფილიყო.

◆ **ციხიდან განთავისუფლება.** პირველ მაისს ტფილისში დაპატიმრებულ ქართველთაგან გუშინ წინ, 23 ივნისს, გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან: შალვა ამირაჯიბი, გიორგი მაჭარაშვილი და გედევან ქუთათელაძე.

◆ **საჩივრის წიგნები.** ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ყველა მეაბანოები მოვალენი არიან აბანოებში უეჭველად ჰქონდეთ საგანგებო წიგნები, სადაც მიმსვლელთ შეუძლიათ საჩივრის ჩაწერა აბანოს პატრონებზე, მაგრამ წიგნები დღემდე თითქმის არც ერთს აბანოში არ აქვთ. ამიტომ ტფ. პოლიცმეისტრის თანაშემწემ განკარგულება მოახდინა, რომ მეაბანოეთ სამი დღის განმავლობაში შეიძინონ საჩივრის წიგნები და პოლიცმეისტრის სამმართველოში წარმოადგინონ თვეში ორ ჯელ მაინც.

◆ **სასმელი წყალი.** ტფ. პოლიცმეისტრის თანაშემწემ განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის ყოველ უბანში გამოსაჩენ ადგილებში ადუღებული წყალი იყოს დასალევად.

◆ **სამხედრო საკრებულო.** ქალაქის სამხედრო საკრებულო გუშინ შეუდგა იმ ახალგაზრდათა შემოწმებას, რომელნიც გასულ წლის ოქტომბერში იყვნენ ჯარში გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადნენ.

◆ **სეტყვის შედეგი.** როგორც გვატყობინებენ, ახალციხის მაზრაში სეტყვას დიდძალი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. შინაურ ფრინველთ გარდა სეტყვას საშინლად გაუფუჭებია ნათესი. ოფიციალურ ცნობით, სოფელს ზურზელს მისვლია 1400 მანეთის ზარალი, ონგორას—4,000 მ., ცახემპოლიპას—2.823 მან., ხორჯალს—1,689 მან., ვარხანს—1.390 მან., ფეხოვანს—327 მან. 50 კაპ. და უნცას—296 მან.

◆ **ნედლ აბრეშუმის ფასი.** მეაბრეშუმეობის რაიონებიდან გვატყობინებენ, რომ ნედლ აბრეშუმის ფასი დასავლეთ საქართველოს ბაზრებზე—ქუთაისის, ხონს, სამტრედიას. სენაკს, ზუგდიდს, ოზურგეთს და სხვ. 12 მან. ავიდა 15—16 მანეთამდე ფუთი. შუშასა, ნუხაში, ალამში და სხვ. ფუთი ნედლ აბრეშუმის ფასი 17—18 მანეთია.

◆ დაბა სურამში რკინის გზის მსახურს დიომიტ ვახრუშევს ბაღში მუშაობის დროს მიწაში ჩაფლული 10 ვირვანქიანი ყუმბარა უპოვნია.

◆ 23 ივნისს პოლიციამ მასიურ ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში 96 უპასპორტო შეიპყრო.

მოწერილი ამბავი

ფოთი. ქართველ ინტელიგენტების ცუდ თვისებას სიზარმაცე და მცონარება შეადგენს უცხო ქვეყნებში ქართველების შესახებ კარგ აზრისანი არიან; ისინი ჩვენ ნიჭიერ ხალხად გვთვლიან და გაკვირვებაში მოდიან, როდესაც ღრმად გაცნობის შემდეგ ხელში რჩებათ სულ ერთიან მცონარე და ზარმაცი კაცი.

ფოთელი ინტელიგენტებიც არ ჩამოუვარდებიან სიზარმაცეში ჩვენი ქვეყნის სხვა მხრის ინტელიგენტებს, მეტსაც გეტყვი, სხვებსაც კი აჭარბებენ. არც ერთი საკულტურო დაწესებულება არ არსებობს, ან უკეთ ვსთქვათ, არ ხეირობს ამ კურთხეულ ქალაქში.

სახალხო უნივერსიტეტის შესახებ ხსენებაც აღარ არის, დრამატიულ საზოგადოების შესახებ საქმეს ნაიღვლის წყალი დალია. უეჭველივე ჩვენგანმა იცის, თუ რა საჭირო და სასარგებლო, არა თუ მარტო ქალაქებისთვის, არამედ დაბებისთვისაც სახალხო უნივერსიტეტი, ლექციებს კითხვას, რომელთაც სახალხო უნივერსიტეტი იაფფასად მოაწყობდა, დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო აქაურებისთვის, უფრო-კი ღარიბ ხალხისთვის და მუშებისთვის, რომელნიც მოწადინებულნი არიან ცოტათი მაინც არის განვითარდნენ, შეიცნონ ცხოვრების ავი და კარგი მხარე... მაგრამ ამას ყველაფერს მოკლებულნი არიან, რადგან ჯერ ერთი იშვიათად იკითხება აქ ლექციები და მეორეც თუ იკითხება გადიდებულ ფასებით, რაც ღარიბ მუშებისთვის მეტად მიუწვდომელი არის. განა ადგილობრივ ინტელიგენტებისთვის დიდ გასაჭირს შეადგენს აიღონ ნებართვა და მოაწყონ სახალხო უნივერსიტეტი? ადვილი საქმეა უეჭველივე ეს, მაგრამ სიზარმაცე თავისას არ იშლის!

დრამატიულ საზოგადოების საჭიროების შესახებ ჯერ კიდევ შარშან გწერდი. იმ დროს ამის შესახებ აქაურ ინტელიგენტებში რაღაც მითქმა—მოთქმა იყო, თითქოს სურდათ ეს საზოგადოება დაერსებულიყო, მაგრამ განვლო ცოტა დრომ და საქმეც მიიჩქმალა. დრ. საზოგადოების დაარსება, დღესაც, გიმეორებ, საჭირო და სასარგებლოა. ბოლო დროს აქ ძალიან გახშირდა წარმოდგენების მართვა. ტფილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსულ არტისტებმა გამართეს წარმოდგენები. ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა. მაგრამ ამავე დროს არა სასიამოვნო და უსარგებლოა, როდესაც აქაური ეგრედ წოდებული „სცენის მოყვარენი“ მართავენ წარმოდგენებს, სდგამენ პიესებს, რომელთა შინაარსი ნახევარ მათგანს არ გაეგება, არ ესმის. თამაშობენ, როგორც იტყვიან, „ნალმერთებულად“; თავიანთ ურიგო თამაშით აძულებენ აქაურებს თეატრს... და მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება, თუ დრამატიული საზოგადოება იქნება საქმის გამგე და გამძღოლი. საზოგადოება ამას ყურადღებას მიაქცევდა და თვიდანვე აიცილებდა შეცდომებს; ხალხსაც არ დაეზარებოდა თეატრში სიარული. მოთხოვნილება მუდმივ თეატრის დაარსებისა საკმაოდ მომწიფებულია აქაურ საზოგადოებაში: ზამთრობით კვირაში ერთი წარმოდგენა აქ სასარგებლოც იქნება და მოგებიანიც, ესეც, რასაკვირველია, ინტელიგენტების საქმეა. მაგრამ დალახვროს ღმერთმა, სულ ძილი და... მაგრამ აქ ძილი არაფერ შუაშია, ეს არის მხოლოდ, რომ სურვილი აღარ არის, ხალისი გამქრალია!

წერა-კითხვის გ. საზოგადოების ფილიალური განყოფილება დაარსდა. გამგეობაც დიდი ხანია არჩეულია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერ არაფერი სჩანს; მუშაობით თავს არავის იწუხებს. სხვაგან ყველგან თითქმის დაბებშიაც-კი უკვე გაჩაღებული მუშაობა სწარმოებს. თუ იმით იმართლებენ თავს, რომ ზაფხულია და მუშაობა შეუძლებელიაო, ტყუილი თავის მართლებაა... ბატონი ბრძანდებით, ზამთარიც მალე დადგება და ვნახოთ მაშინ რას იზამენ!

ფოთში, სადაც კულტურული დაწესებულებანი აღარ არსებობენ, რუსული გაზეთი დაარსებულა და აპირობს თავისი არსებობა განაგრძოს. მე მოგახსენებთ ახალ ყოველკვირეულ გაზეთ „Западное Закавказье“-ზე, რომელმაც უნდა ხან იწყოს გამოსვლა და რომლის რედაქტორი ლ. დუდუჩავა ბრძანდება. რადა გვიჭირს, ბედი გვწყალობს! გარუსებამდის ერთი ფეხის გადადგმაღა გვაკლია! როგორც მოწინავე წერილი გვამცნობს, მას გარკვეული [illegible] არ ესაჭიროება; აქეთაც იქნება და იქეთაც, თუმცა გაზეთი გვპირდება ცხოვრების გარდაქმნას, ფოთის გაბედნიერებას—აშენებას. რასაკვირველია—რუსული გაზეთი ფოთში არაფერს სახეიროს არ გააკეთებს, მავნებლობის მეტს ვერას მოიტანს. უნდა ვინუგეშოთ თავი იმით, რომ ეს გაზეთიც ნეტა ხსენებულ „Ч. В.“ ვით სულს მალე განუტევებს ბუნებრივის სიკვდილით, დიაღ, ბუნებრივის სიკვდილით.

ლ. გეგეჭკორი.

დ. ხონი მიუხედავად იმისა, რომ ხონის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები მეურნეებს უფრო საჭიროებს ვიდრე თავისუფალ პროფესიის ხალხს ანუ მოხელეებს, ხონში და მის ახლო-მახლო სოფლებში კი, მაინც არ არის სამეურნეო სასწავლებელი, საიდანაც მეურნეობის მცოდნე გამოვა. არ არის ისეთი სასწავლებელი, რომელიც მისცემს მოწაფეებს სამეურნეო ცოდნას, დღევანდელ პირობებში ხალხისათვის ფრიად გამოსადეგს. სამაგიეროდ, მოხელეთა აღსაზრდელად, როგორც ყველამ იცის, საკმაოდ მოიძებნება სასწავლებლები. განა სავალალო არაა, რომ ხონში ამდენი სასწავლებლებია და არც ერთ მათგანს არა აქვს სამეურნეო განყოფილება. ვინ იტყვის, რომ მნიშვნელობას მოკლებულნი იყვნენ აქაური სასწავლებლები, მაგრამ მეტად საგულისხმოა ეს გატაცება საზოგადო განათლების ტიპის სკოლებისადმი. ხალხი განსაკუთრებით მეურნეობით სცხოვრობს, მაშასადამე უნდა იყვეს სურვილი მეურნეობის კულტურის გასაუმჯობესებლად. თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკის შემდეგ, ხოლო ამას ცოდნა ესაჭიროება. ხონში არსებობს ერთად-ერთი სახელოსნო სკოლა, რომელიც უფრო ახლო სდგას ხალხის საჭიროებასთან. ფრიად სასარგებლო სასწავლებელია ეს სახელოსნო სკოლა, მაგრამ მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვიდრე დღეს სკოლაში ისეთი რეჟიმია გამეფებული, რომ შეუძლებელია მოწაფეების ნორმალურად განვითარება - მისწრაფება ხალხის სამსახურისადმი. სკოლის სათავეში ისეთი ადამიანია, რომელმაც ადგილობრივ მკვიდრთა ენა არ იცის, რასაკვირველია ესეთი მდგომარეობა არაა ნორმალური. ყველა მიხვდება, რომ ხონის მრავალ-რიცხოვანი სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას. ის შეფარდებული არაა ცხოვრებასთან. პირიქით, მისგან გარიყულიცაა. საჭიროა ზრუნვა ისეთი ტიპის სასწავლებლის დაარსებაზე, რომელიც ხალხის გაჭირვებას მალამოს დასდებს. **ბჭილლესი.**

ს. იანეთი. ცრუმორწმუნოებას აქ ჯერ კიდევ არ ამოთხრია ფესვები. მას დიდი გასავალი აქვს ხალხში. მეფობენ მ. სოფელში ექიმბაშები. ექიმბაშ სალკოტალიშვილზე აქ არასფერს ვიტყვი, მასზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამჟამად ექიმბაშ ქალზე ანეტა ხეთერდისაზე. აღსანიშნავია, რომ ეს ქ-ნი ეხლა იწყებს ექიმბაშობას. ჰგმობდა ექიმბაშებს და ეხლა კი თვით შესდგომია ამ ხელობას. ალბად კონკურენციისა ეშინოდა და იმიტომ ჰკიცხავდა სხვა ექიმბაშებს.

რუსეთი

◆ **ვინ რამდენჯერ ილაპარაკა სათათბიროში.** „კასპი“ მოჰყავს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ რამდენჯერ ილაპარაკა 1909 წ. 10 ოქტომბრიდან 1910 წ. 5 ივნისამდე. პირველი ადგილი დეპუტატ შუბინსკის უჭირავს. მას 380-ჯერ ულაპარაკნია. ამას სხვათა შორის იმით ხსნიან, რომ იგი იყო ერთი უმთავრესი, ადგილობრივი კანონ-პროექტის სასამართლოს მომხსენებლად. მას მისდევს ტიმოშკინი (96) შემდეგი ადგილი უჭირავთ: კროპოტოვს—90, შინგარიოვს—53, მაკლაკოვს—47, ბულატს—49, ზამისლოვსკის—39, ბობრინსკი მეორეს—34, ბელოუსოვს—26, კუტლერს—39, მილიუკოვს—44, ჩხეიძეს—28, მარკოვი მეორეს—54, პურიშკევიჩს—42, ლიახნიცკის—31, პეტროვი მესამეს—34, გულკინს—40, აჯემოვს—28, პოკროვსკი მეორეს—24, ვეგეჭკო-

---

ეკლესიებსა და რის წინდებაც შეიძლებოდა, აღარ უშვებდნენ. ეს კიდევ არაფერი, საქართველოს შავი დღე სხვა მხრიდამაც დაადგა. ალექსანდრეს რუსეთთან დაკავშირებით ბრაზმორეულ შამხლის მოკავშირე ყაბარდოს ჩერქეზები შემოესივნენ ქსნის ხეობას, მთავრების სილოხის და აითეკის წინამძღოლობით ჩერქეზებმა მოაოხრეს ქსნისა და არაგვის ხეობები, რომელნიც მაშინ ალექსანდრეს სამფლობელოს შეადგენდნენ, მრავალი ხალხი გასწყვიტეს და მრავალნიც ტყვეთ წაიყვანეს.[29]

კახეთი მეტად გასაჭირში ჩავარდა, მეფე საგონებელში იყო და აღარ იცოდა რა ნაირად დაეხსნა თავი შამხლის ბჭყალებისაგან. ყოველ მხრივ მტერი ჰყავდა მიმდგარი,—ოსმალეთმა ხარკის ძლევით გაუჭირა საქმე, სპარსეთს მძევლად ჰყავდა მისი შვილი კონსტანტინე, რუსეთმაც ვერავითარი არსებითი დახმარება ვერ გაუწია, პირიქით შამხალი უფრო გადაჰკიდა. ხსნა არსაით იყო. ერთი ხელობა ალექსანდრემ დააპირა ძღვენის გაგზავნა შამხლისათვის და შერიგების თხოვნა, მაგრამ რუსეთის ელჩებმა არ გაუშვეს და დაიმედეს, რომ რუსეთი არ შეარჩენს ამ დამარცხებას შამხალს, ხელახლივ გაჰგზავნის ძლიერს ლაშქარს და კახეთსაც იხსნის შამხლისაგანაო.

განაწყენებული რუსეთის მთავრობის გული ალექსანდრემ იმითი მოიგო, რომ ქართლის მეფეს სვიმონს შეურიგდა. რუსეთის მთავრობას დიდი ხანი უნდოდა, რომ ეს შერიგება მომხდარიყო. საქმე იმაშია, რომ რუსეთი ჩქარა მიხვდა, რომ მარტო ქვეშევრდომმათ მიღება კახეთისა საკმარისი არ იყო, კახეთი საჭიროებდა ფაქტიურს დახმარებას. რუსეთისთვის ძნელი იყო თვალსაჩინო დახმარების გაწევა, ამიტომ ცდილობდა მისი მეზობლებიც შემოერთებინა რუსეთისათვის, შეეკავშირებინა ისინი, რომ შეძლება ჰქონოდათ თვითვე გამკლავებოდნენ საკუთარის ძალღონით მტერსა. რუსეთი ამ რიგად ორს კურდღელს დაიჭერდა, ჯერ ეს ერთი თავისს ინტერესების მკვიდრს დამცველებს გაამრავლებდა და მეორეს მხრივ ახალს მიხარკეებს იშოვნიდა, უომრად, თოფის გაუსროლელად. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ პლეშჩეევსა და კუდრინს—თავისს ელჩებს დააკისრა ეს მისია. მაგრამ, რადგან მაშინ ალექსანდრეს უსიამოვნობა ჰქონდა სვიმონთან, ამიტომ ამგვარი მისია ვერაფერს ნაყოფს ვერ გამოიღებდა და უმთავრესს მის მიზანს, შეკავშირებას სვიმონთან შეუძლებლად ჰხდიდა.

უსიამოვნება სუფევდა მათ შორის, მას შემდეგ რაც ალექსანდრემ დაჰხოცა თავისი ძმები, დედინაცვლისაგან (შამხლის ქალისაგან) ნაყოლი, რომელთ ღვიძლი დაც ნესტან-დარეჯანი სვიმონ მეფესა ჰყავდა, ამის შემდეგ, რასაკვირველია, კეთილი განწყობილება მათ შორის შეუძლებელი იყო. ალექსანდრე თვით შამხლის შესევას მასზედ ცოტად თუ ბევრად ნესტან-დარეჯანის გავლენასაც შამხალზედ აწერდა. ამიტომ ალექსანდრე მიუხტა ერთხელ ანაზდეულად დიღომში დაბანაკებულს სვიმონს. გაიქცა მეფე სვიმონი და მთებს შეაფარა თავი, მაშინ ალექსანდრემ „ავარ ჰყო დედოფალი დაჲ თვისი და ნიფხავი მისი ააცვა შუბსა ზედა და წარვიდა: იკადრა უკადრო, არა ჯერ საყოფი ვითარცა ავაზაკმან“[30]). განრისხებულმა და შეძრწუნებულმა ალექსანდრეს ამგვარის ქცევით მამაცმა მეფე სვიმონმა საჩქაროდ შეჰკრიფა ჯარი, დაეწია ალექსანდრეს ჰოტორში, სასტიკად დაამარცხა და წაართვა ყოველივე ნადავლი, რაც ქართლის მოოხრებით ეშოვნა.

ამის შემდეგ გამწვავებულული იყო დამოკიდებულობა ალექსანდრესა და სვიმონს შორის და მხოლოდ დიდის ხნის შემდეგ ვინმე აშოთამან, რომლის ქალიც ალექსანდრემ თავისს შვილს გიორგის მოჰგვარა ცოლად შეარიგა ორივე მეფენი[31]). ორივემ საუკუნო ფიცი დასდეს, რომ დღეის უკან ერთობითა და სიმტკიცილობით ეცხოვრნათ და ერთმანეთის მტრობისა და შურისათვის თავი მიენებებინათ.

რუსეთის მთავრობას ძალიან გაეხარდა, რასაკვირველია, მეფეთა შერიგება ალექსანდრეს ვრცელს წერილს წერავენ და სთხოვენ სვიმონსაც უთხრას რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება, გამოგზავნოს ელჩები და რუსეთიც დაიცავს მას მტერთაგან. გარდა ამისა ალექსანდრეს სწერენ ეცადოს შემოუერთოს რუსეთს და ქვეშევრდომობა მიაღებინოს საქართველოს სხვა მეფეთა და მთავართა: სამეგრელოს, გურიის, იმერეთს, სვანეთს და სხვ.[32]) ერთის სიტყვით რუსეთი ტკბილს ოცნებას ეძლეოდა, სურდა ქართველთა შეერთება, მათი ხელში ჩაგდება, უომრად და ზარბაზნის გაუსროლელად კავკასიის საუკეთესო ნაწილის ქვეშევრდომმათ გახდომა, რომელიც მისი ინტერესს დაიცავდა კავკასიაში. მაგრამ მის სურვილს, აშკარაა, წინ გადაეღობებოდა და არ დასთანხმდებოდა აღმოსავლეთის ორი დიდი სახელმწიფო, რომელთანაც მკაცრი ანგარიშის გაწევა მოუხდებოდა რუსეთს. ეს ორი სახელმწიფო იყო სპარსეთი და ოსმალეთი, რომელიც დიდი ხანია ებრძოდნენ ერთმანეთს კავკასიაში ბატონობაზედ. ამ ორთაგანს ხან ერთს გაულიმებდა ბედი, ხან მეორეს, დაასუსტდებოდა თუ არა სპარსეთი, ოსმალეთი გახდებოდა მისი ბატონი, არა და უდიდესი მის ნაწილი მაინც სპარსეთის ხელში იყო ხოლმე მუდამ. ეხლა ამ ორს ძლიერს სახელმწიფოს მესამეც მოემატა, ჩრდილოეთის ორთავიანი არწივი, რომელმაც უკვე დაამხვრია მუსულმანთა ორი სამეფო ყაზანისა ასტრახანისა და ეხლა კავკასიისკენ მიაბიჯებდა თუმცა ნელად, მაგრამ მტკიცედ და შეუპოვრად. სპარსეთიც და ოსმალეთიც, რასაკვირველია, ეცდებოდნენ კავკასიის ბატონობა არ ჩაეგდოთ ხელში ჩრდილოეთის სტუმრისათვის და პირველი გამომდგმელ ნაბიჯზედვე ხელი ეღებინებინათ. ოსმალეთის გავლენით წაქეზებულმა შამხალმა და სხვა მთის ერებმა რუსეთის მეცადინეობას ჯერ-ჯერობით ცოტად თუ ბევრად ფრთები შეაკვეცეს და მის მომხრე საქართველოსაც ბევრი ბოლი აადინეს ზურგზედ.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

[29] Историческій обзоръ диплом. снош. з. VIII, Плоэна.

[30] იხ. ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია, ჩუბინოვის გამოცემა გვ. 29.

[31] იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 111.

[32] იხ. Плоэнъ, Обзоръ дипломатическихъ сношеній.

რის—36, როდიჩევს—26, კაპუსტინს—23, დანარჩენ ორატორებს ულაპარაკნიათ 1—6 მდე.

სათათბიროში ყველაზე მოუსვენარი პურიშკევიჩი ყოფილა. მას ორატორებისთვის 290 შენიშვნა მიუცია ხოლო თავმჯდომარისაგან მას მიუღია 166 შენიშვნა. მას მისდევს უკიდურესი მემარჯვენე ნოვიცკი მეორე (74), შემდეგ მარკოვი მეორე (41 შენ.) და ბოლოს კრუპენსკი (22 შენ.)

ამ დროს განმავლობაში სათათბიროს სხდომებიდან გამოურიცხიათ: პურიშკევიჩი—6 ჯერ, (სამჯერ სამ-სამი სხდომიდან, ერთხელ შვიდი სხდომიდან-ხოლო ერთხელ ორი სხდომიდან), მარკოვი მეორე 15 სხდომიდან, მიაგკი—5, კუზნეცოვი, ზახაროვი, ჩხეიძე, გეგეჭკორი და ტიმოშკინი ორ ორი სხდომიდან, ბულატი—15 სხდომიდან, მილიუკოვი და ზამისლოვსკი თითო სხდომიდან. მინისტრებიდან ყველაზე მეტს ლაპარაკობდა იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი (16), შემდეგ ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი (13) სტოლიპინმა ილაპარაკა ოთხჯერ, ხოლო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა 6 ჯერ

ამ ხნის განმავლობაში სათათბიროს 130 სხდომა ჰქონია.

◆ **ხომიაკოვის ძაღლის შეურაცხყოფისათვის.** ამას წინად ერთი გლეხი, გვარად ფროლოვი, სადგურ დუგინოდგან მოსკოვში ბრუნდებოდა. მას თან 4 წლის შვილი ყავდა. იგი რიდასთვისაც გამოვიდა გარეთ, ხოლო ბავშვი მესამე კლასის დარბაზში დასტოვა. ბავშვს უცებ ერთი ძაღლი მივარდა და ყეფა დაუწყო, ფროლოვი ხმაურობაზე შემოვარდა, ბავშვი დაამშვიდა, ხოლო ძაღლს ერთი ორი წიხლი ამოუქირა. იგი ამ „უპატივცემულობისთვის" პოლიციელებმა მაშინვე გააკავეს და პოლიციაში გაგზავნეს, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იგი ისევ განთავისუფლეს. როდესაც ფროლოვმა დაპატიმრების მიზეზი ჰკითხა-მათ უპასუხეს—ნუღარ შეურაცხყოფ ბ-ნ ხომიაკოვის ძაღლს და არავინ შეგიპყრობსო. ფროლოვმა თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა და ჟანდარმს სთხოვა ოქმი შეედგინა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

◆ **საყოველთაო სწავლება.** როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, შემოდგომის სესიაში პირველად განიხილავენ საყოველთაო სწავლის შესახებ კანონ-პროექტს. ამ კანონ-პროექტის მოხსენება უკვე მზად არის და სათათბიროში განხილვას და ელის.

◆ **წიგნაკის მოსპობა.** ნიჟნი-ნოვგოროდში საოლქო სასამართლომ დაადგინა მოისპოს წიგნაკი „გოგოლი და ბელინსკი", რომელიც ერთ ადგილობრივ მწერალს ეკუთვნის. წიგნაკში დაბეჭდილია ბელინსკის წერილი გოგოლისადმი.

◆ **გაზეთის დაჯარიმება.** კიევში ადმინისტრაციამ 150 მან. ჯარიმა დაადო კაპეიკიან გაზეთს „ოგნი"-ს. ამ პაწია გაზეთს ეს მეხუთედ დაადეს ჯარიმა.

◆ **პურიშკევიჩი და სამკურნალოს გამგე.** ამ დღეებში სამკურნალოს გამგემ, რომელიც სამარა-ტაშკენტის ერთ ერთ სადგურზეა, პეტერბურგიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „გთხოვთ ორი ოთახი ჩემთვის შეინახოთ; ჩემი ოთახები სხვა ოთახებისაგან ცალკე უნდა იყვეს. პურიშკევიჩი". სამკურნალოს გამგემ საპასუხოდ გაუგზავნა: როგორც თქვენი დეპეშიდან სჩანს, თქვენ ნერვებით უნდა იყვეთ ავად; ამნაირი ავადმყოფები სხვებს მოსვენებას არ მისცემენ, სხვაგან ეძებეთ". პურიშკევიჩმა მეორე დეპეშა გამოუგზავნა: „მჭირია დასვენება, ჭკუიდან შეშლილი არ გეგონოთ, გონებაზე კარგად ვარ, ორ ოთახს არ მოვცილდები". გამგემ ამის საპასუხოდ წერილი გაუგზავნა და აუხსნა, რომ თუმცა იგი მას პირადად არ იცნობს, მაგრამ იცნობს, როგორც „საზოგადო მოღვაწეს", ამიტომ ჩემის აზრით თქვენი აქ მოსვლა დანარჩენ ავადმყოფების მხრივ პროტესტს გამოიწვევს; ამას გარდა აქ ექიმათ ებრაელია. პურიშკევიჩმა შემოუთვალა. ნუ მაშინებ ურიებით, თუ მოვინდომებ — მოვალ; მაინც ვეცდები როგორმე თავი შევიკავო და მანდეთ აღარ წავიდეო.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ოთხშაბათს, 23 ივნისს, ზუბალაშვილია სახელობის სახალხო სახლში სასცენო ხელოვნების მოყვარულმა „ქართულმა დასმა წარმოადგინა ხუთ მოქმედებიანი დრამა „ყომარბაზის ცხოვრება". პიესის პირველმა ორმა მოქმედებამ სუსტად ჩაიარა. ნამეტნავად უსიცოცხლო იყო პირველი მოქმედება. მოთამაშეთა უგულოდ ლაპარაკმა და უსიცოცხლობამ ბევრი მთქნარება დააწყებინა და ძილი მოჰგვარა. სამაგიეროდ ცოცხლად ჩაიარა დანარჩენმა მოქმედებებმა. არა უშავდა რა ნ. მირველოვს მოხუც მემამულის ლეჟერმანის როლში. მას ცოტა ძალდატანება ეტყობოდა. ამისი შვილის ყომარბაზ ჟორჟის როლში გამოვიდა გ. რევაზოვი. მან საკმარისად კარგად ჩაატარა თავისი რთული როლი. მეტადრე კარგი იყო იგი ბოლო მოქმედებაში, სადაც იგი იტანჯება სულიერად, წარსული ცხოვრების მოგონება ჰქენჯნის, მოკლული კაცის სისხლი მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ ამ დროსვე ოქროები ეშმაკურად უბრჭყვიალებენ თვალში, თავისკენ იზიდავენ, სინდისს, გონებას უხშობენ. ქ-ნმა აფხაზიშვილმა სავსებით ვერ გადმოგვცა ამალიის სულისკვეთება, კეთილშობილ გულის ვითარება. ზოგ ზოგი ადგილები მეტად ცივად ჩაატარა. არა უშავდა რა სალაყაიას გველიძუა, ინტრიგანის, ზნეობრივად დაცემულის, სულიერად დამახინჯებულის ვარნერის როლში. მეხუთე მოქმედებაში, როცა მშობლიური გრძნობებით შებორკილი ალბერტი დაეცემა მიებში მშობლების საძებნელად და ჰპოვებს მათ, პარტერში ჩუმი ქვითინი გაისმოდა. არ შემიძლია არ შევნიშნო ბ-ნ ლეჟავას (დერმონი). ლაპარაკის დროს მას უნდა ახსოვდეს, რომ ის ქართულად ლაპარაკობს, ყოვლად შეუძლებელია ხმის ისეთი ამაღლება, რიგორსაც ის ლაპარაკის დროს ხმარობდა. სასაყვედუროა ქ-ნი ფეიქრიშვილიც უალაგო ალაგას სიცილისათვის. დეფექტებს, რასაკვირველია, წარმოდგენა არ იქმნებოდა მოკლებული. ძალიან ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ. როლების უკოდინარობაც შესამჩნევად ეტყობოდათ, ხშირად ერთ წინადადებას დიდი პაუზით ჰყოფდნენ, ერთ სიტყვას რამდენიმეჯერ იმეორებდნენ, რის გამოც შთაბეჭდილება მთლიანობას კარგავდა. კარგი იქნება წარმოდგენები თავის დროზე იწყებოდეს. აფიშაზე 8 საათია აღნიშნული ხოლმე და ათ საათზე ადრე კი ჯერ არ დაუწყიათ. ხსენებულ დღესაც წარმოდგენა ათ საათზე დაიწყო. ხალხი ნაკლებად დაესწრო. **ს—გ.**

ქიათურა. გუშინ, 20 ივნისს, ადგილობრივი დრამ. საზოგადოების სცენის მოყვარეთა ჯგუფმა გამართა სახალხო წარმოდგენა. ითამაშეს ალ. ყაზბეგის დრ. „არსენა" და გუნიას ვოდევილი „მონადირე". მწყობრად და მოხდენილად ჩაატარეს „არსენა"; კარგები იყვნენ თითქმის ყველა მონაწილენი, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ბ ვ. არაბიძე პეტრეს როლში. ბუნებრივმა და მგრძნობიარე თამაშმა დიდი სიმპატია მოუპოვა ბ. არაბიძეს, რომელსაც ჭიათურის საზოგადოება მხოლოდ მეორედ ჰხედავს აქაურ სცენაზე. ბ. არაბიძე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ბ. არაბიძემ სავსებით გადმოგვცა გამყიდველი პეტრეს სულის კვეთება, მისი სულიერი ტანჯვა, რომელიც მასში ორი გრძნობი ბრძოლამ გამოიწვია. პეტრეს ორ'ში ერთი უნდა ამოერჩია: ან ჩინი, პატივი, ცოლშვილის უზრუნველ ყოფნა, თავისუფლება, ანდა სიღარიბე, სიმშილი, დაუსრულებელ მონობაში ყოფნა. მანაც პირველი აირჩია და ვერაგულათ მოჰკლა ნათლია არსენა. კარგი იყო არსენას როლში ბ. აპტალიდი, მხოლოდ მონოლოგის კითხვის დროს მას ცოტა არა ბუნებრივი გამოთქმა ეტყობოდა. ძლიერ კარგი იყო ახალგაზრდა გულ-უბრყვილო ქალის როლში ვ. წერეთელი. განსაკუთრებით მისმა გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა ქვითინმა არსენას მოკვლის შემდეგ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელ პიესაში ეს სამი უმთავრესი როლია და სამივე კარგად იქმნა შესრულებული. დანარჩენი მოთამაშენიც კარგები იყვნენ და საერთო ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

მართალია, ასეთს პიესებს ხალხი ბლომად ესწრება ყოველთვის, მაგრამ, ჩემის აზრით, „არსენა" ჩვენს დროს აღარ შეეფერება. ხალხს მოსწონს, რომ არსენა „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს", მაგრამ ეხლა სულ სხვანაირად სწარმოებს ბრძოლა ეკონომიური უთანასწორობის და სოციალური უთანხმოების გასასწორებლად. გარსევან ამაყაძე და პეტრეც ცოცხალი ტიპები არიან ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ ცენტრალური ადგილი ხომ ისევ არსენას უჭირავს, რომელიც, სხვა გვარ ბოროტებასთან ერთად ბატონ-ყმურ მონობასაც ებრძვის. მადლობა ღმერთს, რომ ეხლა იმ გვარი ბატონ-ყმობა მაინც არ არსებობს, როგორიც ამ ორმოც და ათი წლის წინეთ იყო გამეფებული! მაგრამ, ჩემის აზრით, „არსენასი" და ამის დაგვარი პიესების დადგმა ჭიათურის სცენაზე აიხსნება მხოლოდ იმით, რომ დრ. საზოგადოებას არა ჰყავს საკმარისი ძალა მუდმივი მოთამაშეებისა. აქაური სცენის მოყვარენი ხომ თავს არ იზოგავენ და მედგრად ეწევიან მძიმე უღელს, მაგრამ რა ჰქმნას პატარა ჯგუფმა, რომელიც არც ისე დიდ-რიცხოვანია, როგორსაც საქმე მოითხოვს. საჭიროა მოიწვიოს გამგეობამ კიდევ ერთი ქალი და ვაჟი და დარწმუნებული ვარ აქაურ სცენის მოყვარეთ არც ერთი რიგიანი და თანამედროვე პიესის დადგმა არ გაუჭირდებათ, მით უმეტეს თუ გამგეობას შეეძლება, თანახმად თავის გადაწყვეტილებისა, ხშირად მოიწვიოს გასტროლებზე ესა თუ ის სასურველი და საჭირო მსახიობი.

13 ივნის მოწვეული იყო ქ-ნი დავითაშვილი „ქოჩრიანი ტოროლაში" და მომავალ კვირას კი, 27 ივნისს, დასდგამენ „ღალატს" გ. გუნიას მონაწილეობით. **მონადირე.**

სასამართლო

შარშან ზამთარს სათენიკა მალხაზიანმა უსაბუთოდ ბრალი დასდო ახალგაზრდა კაცს ალექსანდრე შანშიევს პალტოს მოპარვაში. ეს საქმე გაირჩა მომრიგებელ სასამართლოს მეორე განყოფილების მოსამართლემ და შ. შნშიევი გაამართლა. შანშიევმა თავის მხრით საჩივარი აღძრა ქ-ნ მალხაზიანის წინააღმდეგ შეურაცხყოფისათვის. ბრალდებული მალხაზიანი თავის ვექილის პირით გულწრფელად გამოტყდა სასამართლოს წინაშე, რომ იმისი ეჭვი უსაბუთო იყო. ამის გამო ბრალმდებელ ალ. შანშიევმა განაცხადა, რომ იგი საქმეს სპობს ქ. ნ. მალხაზიანის წინააღმდეგ.

ხარკოვის ძველ სათვისტომოს გამგეობისა და მისი „ვექილის" ბ ნ დუტუძის „სიმართლე".*)

ხარკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის ვექილობა იკისრა ვინმე დუტუძემ. თავიდანვე ვიტყვით, რომ ბ-ნ დუტუძის პოზიცია სასაცილოა; მაგრამ, რადგან იგი ბ-ნ შხ—ლს უგიჟიანებს—სიცრუით უმასპინძლდებით საზოგადოებასაო, ამიტომ ხარკოვის „ახალი ქართული წრის" გამგეობა მოვალეთ რაცხს თავის თავს პასუხი გასცეს, როგორც ძველ სათვისტომოს გამგეობის წერილს („ჩვენი გაზეთი № 58 ში), აგრეთვე ბ-ნ დუტუძეს, „ახალი წრის" გამგეობა ფიქრობს-ამ წერილით ბოლოს მოუღებს ძველ სათვისტომოს წევრთა ჭორებს, როგორც თვით სათვისტომოში, ისე გაზეთის ფურცლებზე.

ჯერ-ჯერობით ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რას მოგვითხრობს სათვისტომოს „ვექილი" ბ-ნი დუტუძე.

იგი თავის წერილში უსაყვედურებს შხ—ლს, რომ ორგანიზაციის პრინციპები გათვალისწინებული არა გაქვსო და „კოლექტიურ ორგანიზაციის თავის დასანებებლად არის მიზეზები შეუსწავლელნი და შეუწყნარებელნიო, 2) რომ შხ—ლი „სიცრუით გუმასპინძლდა საზოგადოებას". ეხლა ვნახოთ რა ღირსებისაა ეს „საბუთები" და რამდენად ეთანხმებიან ისინი სინამდვილეს. ბ ნი „ვექილი" ფაქტებით დამტკიცებას ითხოვს მოწინააღმდეგთაგან, ხოლო თვითონ კი იქ, სადაც მასგან მკითხველი ფაქტებს მოელის, იგი მხოლოდ გამგეობის შინაარსით წერილზე გვითითებს, მკითხველმა ორივე წერილი (ე. ი. გამგეობის და შხ—ლის) ერთმანეთს შეადაროსო. მიბრძანდით და ეძიეთ!

რაში მდგომარეობს ბ-ნ დუტუძის „ფაქტები"?

1. შხ—ლი სწერდა: იმის მაგივრათ, რომ კერძო პირთ (იგულისხმება მედუქნენი, რომელთაც „ახ.-სხ." კორესპონდენცია ეხებოდა) თვითონ ემართლებინათ თავი, მათ გაზეთის ფურცლებზე ექომაგება გამგეობაო". ნუ თუ ეს ასე არ არის? ნუ თუ ის ფაქტი, რომ რადგანაც მედუქნეს და მეჭურჭლეებს გადახვდეს „ახ სხივში", და ამის წინააღმდეგ წერილით გამგეობა და შემდეგ მისი „ვექილიც", გამოვიდა „საქმის ნამდვილმდგომარეობის გასაცნობად", ნუ თუ ეს ფაქტი იმას არ ამტკიცებს, რომ ჭორაკანებს და მედუქნეების პასუხს გამგეობა სწერს? ნუ თუ ეს ის „სულიერი კავშირი" არაა მეჭურჭლეებისა და ძველი გამგეობისა, რომელზედაც შხ—ლი სწერდა „ჩვენი გაზ." ის № 61 ში? მეჭურჭლეების შესახებ, საიდანაც დაიბადა მთელი ეს ისტორია, „ვექილი" დუტუძე არაფერს არ ამბობს. თითქოს ისინი არ არსებობდნენ და არხეინათ არ იჯდენ ძველ სათვისტომოში და არ შეადგენდენ მის უმრავლესობას აუხვია რა ამათ გვერდი ბ-ნ დუტუძემ, დუქნიდან დაიწყო. იგი გვეკითხება, სათვისტომო დუქნის წინააღმდეგი იყოვაო. როდის და როგორ, ბ-ნო დუტუძე? აგი ქვევით თქვენ თვითონ ახადგურებთ იმას, რასაც ზევით სწერდით: „სათვისტომოს კანონიერი კრებები იმ ხანებში არ მოხდარაო... თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ბ-ნო დუტუძე, რომ ძველი სათვისტომოს უმეტესობა სისტემატიურად უარჰყოფდა იმ რეზოლუციებს, რომლებსაც კრებას უდგენდა დუქნისა და ჭორების დასაგმობათ სათვისტომოში დარჩენილი მეორე ოპოზიცია, 10 კაცისაგან შემდგარი. რატომ არ დაჰგმეთ დუქანი და მეჭურჭლეები, როდესაც ამისთვის შესაფერი დრო იყო?

2. შხ—ლი სწერდა: „როგორ შეიძლება ერთ წრეში გვერდში ვუჯდე იმ ახალგაზრდას, რომელიც მხურვალე მომხრეა დუქნის პატრონების აღსადგენად" და სხვა. ამის წინააღმდეგ დუტუძე ნიშნის-მოგებით სწერს: „განა თქვენი პრინციპიალურად გაწვრთნილი ამხანაგები არ გაჰყვნენ სეკუნდანტებად მეორე მხარეს? განა თქვენმა „ძმა-ბიჭებმა" არ მიიღეს დუქანი და ეხლაც იმათ არ უზიხართ გვერდში"? ჯერ ერთი, მთავარი დამნაშავე დუქნისა, მედუქნე, გამომწვევი და სეკუნდანტები თქვენ ძველ სათვისტომოს ამკობენ და თითონ თქვენ, ბ-ნო დუტუძე, მათ გვერდში უზიხართ და გუნდრუკს უკმევთ! მეორე ისა, რომ ჩვენმა ამხანაგებმა ერთხელ და სამუდამოდ აშკარად განაცხადეს, რომ **ისინი პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან ტყვიით საქმის გამორკვევისა**, და ამ შემთხვევაში დასთანხმდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ მედუქნესთვის ეჩვენებინათ რა უპირობამდის მიიყვანს კაცს ფეოდალური თავხედობა და „სიმამაცე". აგი ასეც მოხდა!

3. ბ-ნი დუტუძე ბრძანებს, სათვისტომოს არა ითარი კრება არ მომხდარა, იმ დღეებში იყო მხოლოდ კერძო კრებაო! ჩვენის აზრითაც გამართა კერძო კრება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მან უკანონოთ თავის თავი სათვისტომოს კანონიერ კრებათ გამოაცხადა, აირჩია კომისია და დაავალა გამგეობას გამოერკვია „ჭიანჭველას" ავტორთა ვინაობა. ამავე კრებაზე გადაწყვეტილიყო, რომ კომისიის საქმეებში მონაწილეობა **არ მიეღო** გამგეობის იმ წევრს, რომელიც ოპოზიციაში ირიცხებოდა. განა ეს არ არის ბრალდებულის სკამზე ოპოზიციის წევრთა უდროოდ დსმა, რომელზედაც შხ-ლი სწერდა? განა ეს არ ამტკიცებს, რომ „გვერდს უვლიდნენ ოპოზიციის წევრებს"? ეს არის თქვენი გამგეობის ობიექტივობა?

(დასასრული იქნება)

---

*) ამ საგანზე კამათს ესპობათ ჩვენს გაზეთში. **რედ.**

წერილი რედ. მიმართ

მივიღე მეტეხის ციხის წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის მიხეილ ორმოცაძისაგან ათი ცალი ქართული სხვა და სხვა წიგნი, თავად ივანე ავალიშვილისაგან 26 ცალი ქართ. წიგნი, ვალერიან ვაშაკიძისაგან 20 ცალი სხვა და სხვა ქართული და რუსული წიგნი, კნ. ნინო ხერხეულიძისაგან სამი ცალი ქართული წიგნი და ერთიც რუსული, „სახალხო გაზეთის" რედაქციისაგან 156 ქართული, რუსული და სომხური წიგნები, რისთვისაც ზემოხსენებულ პირთ აგრეთვე რედაქციასაც ულრმეს მადლობას ვუძღვნი ტუსაღების მხრივ და ჩემს მაგიერადაც.

მეტეხის ციხის მღვ. **მიხეილ დევიძე.**

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სახალხო გაზეთი"-ს მახლობელ ნომერში ადგილი მისცეთ ამ ჩვენ მცირედ წერილს.

სოფელ ბოდბისხევის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს და იშრომეს 6-ს თიბათვეს გამართულ წარმოდგენაში ამავე სოფელში ბოდბისხევის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. ამასთანავე ვაუწყებ საზოგადოებას, რომ 6-ს თიბათვეს გამართულ წარმოდგენიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 40 მან. 55 კ.

გამგეობის მინდობილობით ბიბლიოთეკის გამგე **რამან მჭედლიშვილი.**

ბატონო, რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს: ულრმეს მადლობას ვსწირავ არჩილ ლომინის ძე ლეჟავას, რომელმაც ინება და შემოსწირა სამტრედიის წ. კ. გ. საზოგადოების უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემდეგი სამღრთო შინაარსის წიგნები: 1. ბეჟანიანი, 2. სიბრძნე ბალავარისა, 3. ბოლო კეთილია, 4. ცხოვრება ქალწულ მოწამესი სოფიოსი, 5. ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები, 6. ცხოვრება წმიდა ნინოსი, 7. ცხოვრება ფილარეტისა, 8. ცხოვრება სვიმონ მესვეტისა, 9. ცხოვრება თეკლესი, 10. ცხოვრება ესტატესი, 11. ცხოვრება პარასკევასი, 12. ცხოვრება ეკატერინესი, 13. ცხოვრება თევდორე ალექსანდრიელისა, 14. ფსალმუნი დავითისი და 15. იესო ქრისტეს წმიდა სახარება.

გამგე ბიბლიოთეკისა **ი. სიხარულიძე.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**
იღებს შინაგ., ქალ., შებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—127

დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა
18 აპრილიდან 1910 წ.
საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.
ტფილისიდან გადის
ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.
ტფილისში მოდის
ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

ვ. ციფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

სუფთა და ჩქარ წერას ვასწავლი 10 გაკვეთილში [illegible] პირადად თუ წერილობით **დიპლ. უნივერსიტეტის ატესტ.**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი სალდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.
Одесса, проф. каллиграфіи А. [illegible]
Дерибасовская, д. Грузевича. (10—ფ—5

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნა-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული"
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში **„ნაკადულის"** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

გამოვიდა და იყიდება: **ტფილისში**
წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული" მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია", ვედევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა" ვასო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი" და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (15—5)

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში
იყიდება

1. ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები	25 კ.
2. ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები	10
3. ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი	25
4. ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია	35
5. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული	40
6. აკაკი. თორნიკე ერისთავი	35
7. აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით	50
8. აკაკი. ქუთათლის სიზმარი	5
9. აკაკი. ნაცარქექია	10
10. აკაკი. გოგია მეჩანგურე	5
11. ნ. ბარათაშვილი. ლექსები	5
12. ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი	5
13. ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა	5
14. ა. ყაზბეგი. ელისო	10
15. ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები	50
16. კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორ. ნ. ს.	40
17. ნ. მარრი История грузіи	25
18. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება	15
19. ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია	40
20. ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია	60

და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.